

თავი 19 მონელების მომაბეზრებელი სისტემა

წასვლის წინ ჯონათანმა მოხუცებს ქალაქის მერიის გზა ჰკითხა. როუზმა მას ნაღვლიანად შეხედა და მხარზე ხელი დაადო.

– გთხოვ, ჯონათან, არავის უთხრა, რომ საკვებით გაგიმასპინძლდით. ჩვენ არ გვაქვს ამის უფლება.

– როგორ, თქვენ ნებართვა გჭირდებათ, რომ ვინმეს გაუმასპინძლდეთ? – თქვა ჯონათანმა.

– კი. შესაძლოა პრობლემაც შეგვექმნას ხელისუფლებისგან, თუ გაიგეს რომ ნებართვის გარეშე გაუმასპინძლდით ვინმეს.

– რა ნებართვაზეა ლაპარაკი?

– ამ ნებართვით დადგენილია გარკვეული სტანდარტები საკვებზე. წლების წინ ქალაქის მცხოვრებლები პროდუქტს ქუჩის ვაჭრებისგან, კუთხის კაფეებსა და რესტორნებში ყიდულობდნენ ან პროდუქტს სასურსათო მაღაზიებში იღებდნენ და კერძებს სახლში ამზადებდნენ. მოგვიანებით ღორდთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ უსამართლობა იქნებოდა, თუ ზოგიერთი ოჯახი სხვებზე უკეთ გამოიკვებებოდა. ასე უფრო დაცულნი იქნებოდა მათ შორის თანასწორობა. გაიხსნა პოლიტიკური კაფეტერიები, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლო უსასყიდლოდ ეჭამა ერთნაირი კერძი.

– რა თქმა უნდა, მთლად უსასყიდლოდ არა, – თქვა ბაბუამ, თან საფულე ჯიბიდან ამოიღო და ჯონათანს ცხვირწინ დაუტრიალა.

– თითოეული კერძის ფასი გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე ოდესმე, მაგრამ იქვე ფულს არავინ იხდის, ვინაიდან „ბიძია სემტას“ ის უკვე გადახდილი აქვს ჩვენივე გადასახადებიდან. რადგან პოლიტიკურ კაფეტერიებში ან, თუნდაც, „პოლიტკაფეებში“ კერძების საზღაური უკვე გადახდილია, აღარავინ დადის კერძო რესტორნებში. დამატებითი თანხის გადახდა არავის სურს. კლიენტთა სიმცირის გამო კერძო რესტორნებმა ფასები უკიდურესად გაზარდეს. ზოგიერთი რესტორანი განაგრძობს მუშაობას მდიდარი კლიენტების ან იმ ადამიანების წყალობით, რომლებიც რელიგიურ დიეტას იცავენ. მაგრამ უმრავლესობა დაიხურა.

– ვინ გადაიხდის ზედმეტს, როცა უფასოდ შეუძლია ისაღილოს პოლიტკაფეში?

– ხმამაღლა გაიფიქრა ჯონათანმა.

როუზს გაეცინა.

– პოლიტკაფეები აუტანელი გახდა – მზარეულები, კერძები, ატმოსფერო. ცუდ მზარეულებს პოლიტკაფეებიდან არასდროს უშვებენ. მათი კავშირი ძალიან მტკიცეა. ხოლო ნამდვილად კარგ მზარეულებს იშვიათად სწყალობენ, ვინაიდან ცუდი მზარეულები ეჭვიანობენ და თავიდან იშორებენ. შენობები ნგრევის პირას არის მისული. კედლებზე წარწერებია და ყველაფერი ჭუჭყით არის სავსე. არანაირი ზნეობა... ერთფეროვანი საკვები... და „მონელების საბჭო“-ს მიერ დადგენილი მენიუ...

– ყველაზე უარესი ჯერ არ გვითქვამს, – წამოიძახა ბაბუამ, – ისინი ცდილობენ თავის მეგობრებს ასიამოვნონ, სინამდვილეში კი კმაყოფილი არავინ რჩება. შენ უნდა გენახა ჩხუბი ბრინჯისა და მაკარონის გამო. წარმოგიდგენია, ბრინჯი და მაკარონი დღეგამოშვებით მთელი ათი წლის განმავლობაში?! შემდეგ კარტოფილის ლობისტებმა კარტოფილისა და პურის მოთხოვნით კამპანია წამოიწყეს გახსოვს? – თქვა მან და მეუღლეს თავი დაუქნია, – როდესაც კარტოფილის მოყვარულებმა საბჭოში თავისი ხალხი შეიყვანეს, მას შემდეგ ბრინჯი და მაკარონი აღარავის გახსენებია.

დეივი ბებიამისის კალთას ამოფარებოდა და ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს იხრჩობაო.

– ვერ ვიტან კარტოფილს, ბებია, – ზიზღით წამოიყვირა ცხვირაპრეხილმა დეივიმ.

– აჯობებს ჭამო, პატარავ, თორემ კვების ოფიცრები დაგიჭერენ.

– კვების ოფიცრები? – იკითხა ჯონათანმა.

– სუ! – თქვა ბაბუამ ტუჩებთან თითის მიტანით და თან გარშემო მიმოიხედა, რომ შეემოწმებინა, ვინმე ხომ არ ისმენდა მათ საუბარს. შემდეგ კი განაგრძო:

– ის, ვინც დამტკიცებულ საკვებს თავს არიდებს, კვების ოფიცრებს ჩაუვარდება ხელში. ისინი მუდმივად აკონტროლებენ, ვინ დადის პოლიტკაფეებში და სდევნიან მათ, ვინც დიდი ხნის განმავლობაში არ გამოჩნდება. მეამბოხეები გადაჰყავთ სპეციალური დაკავების კაფეტერიებში, სადაც ისინი იძულებით კვებაზე ჰყავთ.

შეძრწუნებულმა დევიმ წამოიძახა:

– რატომ არ შეიძლება სახლში ვჭამოთ, ბებია ხომ საუკეთესო კერძებს ამზადებს?!

– ეს აკრძალულია, საყვარელო, – თქვა როუზმა, თან დევის თავზე ხელი გადაუსვა. – ძალიან ცოტა ადამიანს აქვს ამის უფლება. მე და ბაბუაშენს ნებათვა არ გვაქვს და ჩვენ არ შეგვიძლია სამზარეულოს იმ მოწყობილობების შექმნა, რომლებიც მათ მიერ დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება. იცი, რა ხდება დევი, ლორდები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი უფრო მეტად ზრუნავენ შენზე ვიდრე ბაბუა მილტონი და მე.

– გარდა ამისა, ჩვენ ორივეს ბევრი მუშაობა გვიწევს, რომ ეს გადასახადები დაეფაროს, – დასძინა ბაბუამ.

ბაბუა ტერასაზე ბოლთას სცემდა და თან თავისთვის ბუზღუნებდა:

– ხელისუფლება ამტკიცებს, რომ, წარსულისგან განსხვავებით, ახლა იმდენი საკვები მზადდება, ხალხი მონელებასაც კი ვერ ასწრებს. სინამდვილეში მოსახლეობის ნახევარი მშიერია. მოსახლეობის ღარიბი ფენისთვის უკეთესი საკვების მიწოდების გეგმამ ის შედეგი გამოიღო, რომ ახლა ყველა ცუდად იკვებება. ზოგიერთმა მეამბოხემ უარი თქვა ასეთი საკვების მიღებაზე და ამის გამო შიმშილის პირას არის მისული, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკვები უფასოდ ერგებათ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ვანდალები და განგსტერები არბევენ პოლიტკაფეებს და იქ უსაფრთხოდ ვერავინ იგრძნობს თავს.

– გთხოვ გაჩერდი, – უთხრა როუზმა მეუღლეს, როდესაც ჯონათანის შემფოთებულ სახეს წააწყდა, – ისეთი შეშინებულია, ვერასოდეს შეძლებს პოლიტკაფეში შესვლას, – შემდეგ ჯონათანს მიუბრუნდა და გააფრთხილა:

– როცა შეხვალ, უბრალოდ შენი პირადობის მოწმობა წარადგინე და ყველაფერი კარგად იქნება.

– მადლობა გულისხმიერებისთვის, ბებია როუზ, – თქვა ჯონათანმა და თან ფიქრობდა როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო პირადობის მოწმობა ან როგორ უნდა მიეღო საკვები, თუ მოწმობა არასოდეს ჰქონია. შემდეგ კი სთხოვა:

– წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, კიდევ რამდენიმე პურის ნაჭერი რომ დამიმატოთ წასვლამდე?

– რა თქმა უნდა, საყვარელო. აიღე რამდენიც გინდა.

ბებია სამზარეულოში შებრუნდა და უკან ხელსახოცში გახვეული რამდენიმე პურის ნაჭრით დაბრუნდა. მან გარშემო მიმოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მეზობლები არ უყურებდნენ. შემდეგ ამაყად გადასცა ჯონათანს პატარა ფუთა და თან დასძინა:

– ამას მოუფრთხილდი, შვილო. ჩემი სიძე დამატებით საკვებს გვაწვდის, მაგრამ პოლიცია . . .

– ვიცი, ვიცი, – თქვა ჯონათანმა. – ყველანაირად ვეცდები, რომ პური არავინ დაინახოს. მადლობა ყველაფრისთვის.

ჯონათანი გამოემშვიდობა კეთილ მოხუცებს და გზას გაუყვა. გული სითბოთი ევსებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ამ მიუსაფარ კუნძულზე ეგულებოდა ადგილი, სადაც გაჭირვების ჟამს შეიფარებდნენ.